საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და
ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

15/09/2022
N 1509

1509-09-02-11-3-202209151327

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო

და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

პეტიციის განაცხადზე „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეში საბავშვო ბაღის მშენებლობის თაობაზე“

(N09-02-13 ლ/507, 27.06.2022წ. პეტიციის ავტორი:ალექსანდრე ლორთქიფანიძე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა მიმდინარე წლის 15 სექტემბერს სხდომაზე განიხილა ალექსანდრე ლორთქიფანიძის მიერ წარმოდგენილი პეტიცია (პეტიციას თან ახლავს 212 მოქალაქის ხელმოწერა) „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეში საბავშვო ბაღის მშენებლობის თაობაზე“.

როგორც პეტიციის ავტორი აღნიშნავს, სოფელ ერგეს, რომელიც აერთიანებს 4 სოფელს, მიმდინარე პერიოდისათვის ემსახურება საჯარო სკოლის შენობაში განთავსებული ე.წ დროებითი საბავშვო ბაღი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებისა და ნორმების დაცვას და მშობლებისათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

პეტიციის ავტორი ითხოვს - სოფელ ერგეში საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის ნაკვეთის გამოყოფას და ახალი ბაღის აშენებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 140[1] მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომიტეტმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები :

1. მოსაზრებებისათვის, აღნიშნული პეტიცია გადაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს;

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, 1 თვის ვადაში პასუხი აცნობოს პეტიციის ავტორსა და კომიტეტს.

მარინე გვიანიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო